



**დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

ქ. თბილისი

2021 წლის 23 თებერვალი

**დისციპლინური საქმე №43/19-2
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურს 2019 წლის 07 მარტს მოსამართლე --- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მოთხოვნით, ერთობლივი №-- საჩივრით მომართეს --- და ---.

1. საჩივრის ავტორების მიერ მითითებული გარემოებები

მოსამართლე --- 2007 წლის 18 სექტემბრის განაჩენით ძალაში დატოვა 2007 წლის 07 ივნისის ბრძანება, რომლითაც დაკმაყოფილდა პროკურატურის შუამდგომლობა სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ბრალდებულის, --- მეუღლის, --- საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ. საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ მოსამართლემ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება, რითიც დაარღვია კანონი.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები

2.1. მოსამართლე --- 2007 წლის 07 ივნისის ბრძანებით დაკმაყოფილდა პროკურატურის შუამდგომლობა სამოქალაქო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ბრალდებულის, --- მეუღლის, --- საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

2.2. 2007 წლის 18 სექტემბრის განაჩენით მოსამართლე --- ძალაში დატოვა 2007 წლის 07 ივნისის ბრძანება ბრალდებულის, --- მეუღლის, --- საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 18 აპრილის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75² მუხლის თანახმად, „მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან - 1 წელი.“ (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია)

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას შესაბამისი ორგანო ან თანამდებობის პირი იღებს, თუ მოსამართლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა.

საჩივარში მითითებული სადავო ქმედებები მოსამართლე -- -- მიერ განხორციელდა 2007 წლის 18 სექტემბერს, რის გამოც, დღეის მდგომარეობით, გასულია მათი დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ხანდაზმულობის ვადა.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 75² მუხლის თანახმად, „მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე გასულია 3 წელი, ხოლო მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – 1 წელი“ (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, თუ „მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური სახდელის) დაკისრების ვადა ამოიწურა.“

მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი სადავოს ხდის მოსამართლის იმ განჩინების კანონიერებას, რომლის მიღებიდან გასულია 3 წელზე მეტი (იგულისხმება მოსამართლე -- -- მიერ 2007 წლის 18 სექტემბერს მიღებული განჩინება). ამასთან, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში დაუშვებელია მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების (განჩინების) კანონიერების შეფასება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

-- -- და -- -- 2019 წლის 07 მარტის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი